პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

კვირა 3 იანვარი 1937 წ. № 2 (4804)

დღეს გაზეთში:

— ექვსი იანვარი! (მოწინავე)
— საბჭოთა კავშირის 17 ახალი გმირი.
— წალენჯიხის რაიონის გამარჯვება
— ქართული ხელოვნების დეკადა
— პროფ. ნ. ჟღენტი — საბჭოთა ფინანსები და საბჭოთა დემოკრატია (ფელეტონი)
— ზ. ჩახვაძე — სოციალიზმის ქვეყნის მოსახლეობის აღწერა (ფელეტონი)

ზედიზედ:
— მთავრობის ჯარების უდიდესი წარმატება
— ატიენსის დაკავების სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა.
— იტალიის ჯარისკაცებს არ სურთ იომონ ესპანეთის წინააღმდეგ
— საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ურთიერთობა

ექვსი იანვარი!

6 იანვარს საბჭოთა კავშირში ჩატარდება მოსახლეობის საკავშირო აღწერა. ამასთან დაკავშირებით ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და საკავშირო სახკსაბჭომ სპეციალური წერილით მიმართეს ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას, ყველა პარტიულ და არაპარტიულ ბოლშევიკს. ამ წერილში ნათქვამია: „სკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრკ სახკომსაბჭო ხაზგასმით ნიშნავენ მოსახლეობის მომავალი 37 წლის 6 იანვრის საკავშირო აღწერის უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას.

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სკომსაბჭო ავალებენ ყველა პარტიულსა და საბჭოთა ორგანიზაციას დაუოწყვდებენ ყველა პარტიულსა და უპარტიო ბოლშევიკს ყოველგვარ ხმარება გაუწიონ იმ მუშაკებს, რომლებიც განხორციელებენ მოსახლების საყოველთაო აღწერას".

მართლაც ეს წერილიც ეუბნობს იმ უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას, რომელიც ჩვენი დიადმშობლოსათვის ექნება 6 იანვარიაღწერას.

სოციალიზმი—ეს აღხვა—ამბობდა დიდი ლენინი. სოციალისტურ, გეგმიან მეურნეობას უსათუოდ ახასიათებს ზუსტი აღხვა, ის მისი საფუძველია. მოსაეობის საკავშირო აღწერაც წარდგენს სოციალისტური აღრიცხვის ისეთ სახეს, რომელმაც ნათელარმოდგენა უნდა მოგვცეს ჩვენს ქანაში მომხდარ დიდ სოციალ-ეკონიურ და კულტურულ ძვრებზესოციალისტური სახელმწიფოს სახლეობის შეცვლებზე.

დიდი სტალინი თავ გენიალურ მოხსენებაში საბჭოთა ირის ახალი კონსტიტუციის პტის შესახებ ლაპარაკობდა უდიდეს, მსოფლიო-ისტორიულნიშნველობის ცვლილებებზე, ტლნიც საბჭოთა ქვეყანაში მოხჩენი ქვეყნის სახე ხომ არსებ შეცვლილია, იგი ხომ გარდალი და გადახალისებულია!

სოციალიზმის გამაებამ საბჭოთა კავშირში ძირფესვად შესცვალა ჩვენი ქვეყნის ეკნომკა. საბჭოთა კავშირი ახლა—ირის სოციალისტური ეკონომიქვეყანა. ამ ძირეულმა ცვლილე ეკონომიკის სფეროში გამოიწვიდიალური ცვლილებანი სოციალ დარგში, ჩვენი ქვეყნის მოსახბის კლასობრივი სტრუქტურის გში. მოისპო ადამიანის მიერ ადის ექსპლოატაცია, მოისპო ექსატატორული კლასები.

ორი სტალინური წლედის მანძილზე საბჭოთა მწლის იმ ადგილებში, სადაც თ მხოლოდ თოვლუინულიანი ნა და ტყიგა იყო, გაჩნდა უდი ინდუსტრიული ქალაქები, ას საცხოვრებელი პუნქტები, ახ სამრეწველო კერები. სტალინუ ხუთწლედის პირმშოა, მაგალითალაქები მაგნიტოგორსკი, კომლსკი.

შეიქმნა ახალი, სოციალისტური სოფლის მეორნეობა, რამაც არსებითად შესცვალა საბჭოთა სოფლის სახე. ამაღლდა მოსახლეობის კულტურის დონე. ყველა ეს და სხვა უდიდესი ცვლილებანი, რაც გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ, ნათელ გამოხატულებას პოულობენ მოსახლეობის შემადგენლობაში, მისი სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების ცვალებადობაში, მის დინამიკაში.

საბჭოთა კავშირი არის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც სოციალიზმმა შეჰქმნა ყველა პირობა მოსახლეობის ჩქარი ზრდისათვის, ბედნიერი და სასიხარულო ცხოვრებისათვის. საბჭოთა კავშირი არის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, რომლის მოსახლეობის 45 პროცენტი ახალგაზრდობაა 20 წლის ასაკამდე.

საბჭოთა კავშირი არის მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანა, სადაც მინიმუმამდე შემცირდა სიკვდილიანობა და შესამჩნევად გაიზარდა დაბადება თა რიცხვი.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში მომხდარ ამ უზარმაზარ ცვლილებებს გამოხატავს მოსახლეობის საყწერო ფურცელიც, რომელიც 14 მარტივი კითხვისაგან შესდგება. ამ ფურცლის შევსება სწორად, გარკვევით, მთელი მოსახლეობის აღწერა უკლებლივ საერთოდ აღწერის წარმატებით ჩატარება წარმოადგენს დიდი პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის საქმეს.

მოსახლეობის მომავალი აღწერა მოგვცემს არა მარტო იმის ფოტოგრაფიულ სურათს, რაც არის, არამედ მდიდარ მასალასაც მესამე ხუთწლედის გეგმის შესადგენად. ჩვენი ქვეყანა მეორე ხუთწლედის უკანასკნელ წელში გადავიდა. ახლოვდება მესამე ხუთწლედი. მომავალი ხუთწლედის გეგმის შესადგენად, ჩვენი შემდგომი ზრდის ტემპების დასასახავად უდიდესი მნიშვნელობა ექნება ამ აღწერის მასალებს.

საქართველოში უკვე დაიწყო წინასწარი მუშაობა 6 იანვრის აღწერისათვის. საჭიროა მთელი ამ მუშაობის მაღალხარისხოვნად ჩატარება. პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა ამ საქმეშიც უნდა გამოიჩინონ უდიდესი რევოლუციური სიფხიზლე. პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საკავშირო სახკომსაბჭოს მოწოდებამ თვითეულ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციას. ყველა პარტიულ და უპარტიო ბოლშევიკს უნდა აგრძნობინოს უდიდესი პასუხისმგებლობა მოსახლეობის აღწერის წარმატებით, მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის. ეს პასუხისმგებლობა უნდა გამოიხატოს არა მარტო სიტყვიერ მზადყოფნაში, არამედ კონკრეტულ, საქმიან დახმარებაში იმ ადამიანებისათვის, რომელნიც აწარმოებენ აღწერას.

ორდენოსანმა საქართველომ აღწერა უნდა ჩაატაროს უხაკლოდ, მაღალხარისხოვნად, სანიმუშოდ!

მადრიდის ფრონტზე, უნივერსიტეტის უბანში, მთავრობის ჯარების მებრძოლთ გადაჰყავთ დაჭრილი ამხანაგი. („სოიუზფოტო")

მთავრობის ჯარების უდიდესი წარმატება

ატიენსის დაკავების სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა

ლონდონი, 1 იანვარი (საქდესი). ესპანელ კორესპონდენტთა ცნობით, ქალაქ ატიენსის აღებამ დიდი უპირატესობანი მიანიჭა რესპუბლიკელებს. ფრონტის ეს უბანი მადრიდს იცავს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. რესპუბლიკურმა ჯარებმა ერთი დღის განმავლობაში 24 კილომეტრით წაიწიეს წინ. ატიენსის დაკავების სამხედრო-სტრატეგიული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ეს ხელს უშლის მეამბოხეებს ჯარები გადაისროლონ სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ტერუელზე რესპუბლიკელთა შეტევის შესაჩერებლად. ატიენსის დაკავება ხელს უშლის აგრეთვე მეამბოხეთა შეტევას სორიიდან. რესპუბლიკელებს სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს. ფრონტის ამ უბანზე მეამბოხეთა ჯარისკაცები უძმობილდებოდნენ რესპუბლიკელებს და მათთან საუბრის დროს აცხადებდნენ: ჩვენ გადმოვდიოდით რესპუბლიკელთა მხარეს, მაგრამ გვეშინიან, რადგან რესპუბლიკელთა მხარეს გადასულ ჯარისკაცთა ოჯახების წევრები დაბრიტის მეამბოხეებმა.

რესპუბლიკური ჯარების შეტევას კორდოვის ფრონტზე, რასაც მიზნად ჰქონდა, მეამბოხეთა ჯარები განედევნა მადრიდის გვადალკვივირს გაღმა, კორესპონდენტები უწოდებენ ბრძოლას ზეთისხილის ხმავლისათვის, რომელიც მეტად დიდია და ჯერ კიდევ არ მოუკრეფიათ.

„ტაიმსის" კორესპონდენტი სწერს: ესპანეთის მთავრობის აზრით 1936 წლის დამლევი არის აგრეთვე ამბოხების ყველაზე უარესი და ყველაზე საშიში პერიოდის ბოლო. ძალების გადამწყვეტი გამოცდა, განაგრძობს კორესპონდენტი, ჯერ ისევ წინ არის, მაგრამ იგი მოხდება არა იმ პირობებში, როგორიც არსებობდა სამი თვის წინ, როდესაც სახელდახელოდ შექმნილი სახალხო მილიცია უკან იხევდა მეამბოხეთა მოწოლის გამო. ამჟამად რესპუბლიკური ესპანეთს ჰყავს არმია, რომელშიც ირიცხება ახლებურად ორგანიზებული რამდენიმე ასი ათასი კაცი.

დასასრულს კორესპონდენტი აცხადებს:

„გადავიტანეთ დიდი საშინელებანი და შეიძლება ითქვას, მოსალოდნელია უფრო ძლიერი განსაცდელიც, მაგრამ მთავრობის ბანაკში დარწმუნებული არიან, რომ ამოდას ახალი ესპანეთის ვარსკვლავი".

ესპანეთის ფრონტებზე

ბილბაო, 1 იანვარი (საქდესი). ბისკაის ფრონტზე, ელორიოს უბანზე (ირბარის სამხრეთ-დასავლეთით) 1 იანვარს სწარმოებდა თოფის და ტყვიამფრქვევის სროლა.

31 დეკემბერს, საღამოთი, მეამბოხეთა ავიაცია გაემართა ბილბაოსაკენ ქალაქის ბომბარდირების მიზნით. მაგრამ, როგორც კი შენიშნეს რესპუბლიკელთა ავიაგამანადგურებლები, მეამბოხეთა თვითმფრინავები უკან გაბრუნდნენ და გზადაგზა 12 ყუმბარა ჩაგდეს სოფლებში—ამურიოსა და ორდუნიაში, ბილბაოს სამხრეთით 40 კილომეტრის მანძილზე.

ასტურიის ფრონტზე მეამბოხეთა ავიაციამ ყუმბარები დაუშინა პოლადე გორდონს (ლეონის ჩრდილოეთით 35 კილომეტრის მანძილზე). ბომბარდირებას დიდი ზარალი არ მოჰყოლია.

გენ. ფრანკოს არმიის მდგომარეობა

ლონდონი, 1 იანვარი (საქდესი). „დეილი ტელეგრაფის" რომაელი კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ როგორც მას განუცხადა ერთერთმა იტალიელმა ფაშისტმა, რომელიც ესეს არის დაბრუნდა ესპანეთიდან, სადაც იგი მეამბოხეთა მხარეზე იბრძოდა, რესპუბლიკელთა ჯარები განსხვავდებიან დიდი ბრძოლიაუნარიანობით, თავიანთი მჯნვარე ენტუზიაზმისა და სიმამაცის გამო. იმავე პირის სიტყვით, გენერალ ფრანკოს ჯარებს გულგატეხლობა ემჩნევათ.

„მორნინგ პოსტის" დიპლომატიური მიმომხილველის სიტყვით გენერალი ფრანკოს „საიმედო" ჯარები არიან მხოლოდ მაროკოელები, უცხოელთა ლეგიონი, აგრეთვე „მოხალისენი", ე. ი. გერმანიიდან და იტალიიდან ჩასული სამხედრო ნაწილები. მაროკოელებმა და უცხოელთა ლეგიონმა დიდი ზარალი განიცადეს ბრძოლებში და მათი რიცხვი ამჟამად ძლიერ შემცირდა. გენერალ ფრანკოს, დაასკვნის მიმომხილველი, მოელის დამარცხება, თუ მან ვერ შესძლო უფრო საკრძნობი დახმარების მიღება საზღვარგარეთიდან.

ღარგო კაბალიეროს საახალწლო მიმართვა

ლონდონი, 1 იანვარი (საქდესი). ესპანეთის მთავრობის მეთაური ლარგო კაბალიერო „ნიუს ქრონიკლის" საახალწლო მიმართვაში ღრმა რწმენას გამოსთქვამს, რომ ესპანეთში თავისუფლების საქმე გაიმარჯვებს და ფაშისტი მეამბოხენი დამარცხდებიან. „ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობას, — აღნიშნავს კაბალიერო, — კანონიერად ეკუთვნის ხელისუფლება. მეამბოხეთა წინააღმდეგ ბრძოლაში იგი ხალხის ნება-სურვილს ასრულებს. იცავს რა ესპანეთის სუვერენიტეტს, იგი ასევე იცავს ყველა იმ დემოკრატიული ქვეყნის სუვერენიტეტს, რომლებსაც, თუ მეამბოხენი გაიმარჯვებენ ესპანეთში, საფრთხე მოელით ფაშიზმისაგან".

„ნიცი-ნიცი" ხიროჯას მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ

ტოკიო, 31 დეკემბერი (საქდესი). გაზეთი „ნიცი-ნიცი" აჯამებს 1936 წლის საგარეო პოლიტიკის შედეგებს და სწერს, რომ ხიროტას მთავრობის მიერ საქვეყნოდ გამოცხადებული „პოზიტიური და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკა" ერთადერთი შედეგი იყო იაპონია-გერმანიის შეთანხმების დადებისა. „იაპონელმა ხალხმა, — განაგრძობს გაზეთი, — შეთანხმების ამბავი პირველად მხოლოდ მაშინ გაიგო, როდესაც შეთანხმების ტექსტი გამოქვეყნდა. საზოგადოებრივი აზრი საზღვარგარეთ საერთოდ უარყოფითად შეხვდა შეთანხმებას. ამ შეთანხმებამ ზიანი მიაყენა იაპონიის ურთიერთობას სსრ კავშირთან, ჩინეთთან და ინგლისთან უფრო მეტი. გამოირკვა, რომ მთავრობას შეცდომა მოუვიდა თვით შეთანხმების დადების პროცედურის დროს. არსებული ნიშნების მიხედვით საპარლამენტო სესია გაჰკიცხავს მთავრობას იმ უხეშობისათვის, რომელიც ჰხ გამოიჩინა ამ შეთანხმების დადების დროს".

გაზეთი იხსენებს, რომ საიდუმლო საბჭომ დაჰგმო ხიროტას მთავრობა ამისათვის, რომ მან ვერ გამოიჩინა უნარი დაეთანხმებინა სსრ კავშირი თევზჭერის ახალი კონვენციის დადებაზე და აცხადებს:

„იაპონიის მთავრობა დადგა პალიატივების პოლიტიკას და დადო შეთანხმება, რომ ახლანდელი კონვენციის მოქმედება ერთი წლის ვადით გაგრძელდეს, მაგრამ ეს არ შველის მდგომარეობას და მთავრობას ახალწელს კვლავ დასჭირდება მოჰკიდოს ხელი თევზჭერის პრობლემის საბოლოო მოწესრიგებას".

შემდეგ გაზეთი ხაზს უსვამს „ხიროტას მთავრობის პოლიტიკის სრულ მარცხს ჩინეთის მიმართ", იგი აღნიშნავს, კერძოდ „ხიროტას მთავრობის უმწეობას სიანის ამბების წინაშე".

„საზოგადოებრივი აზრი, — განაგრძობს გაზეთი, — ჰგმობს ხიროტას მთავრობის საგარეო პოლიტიკას. საყოველთაოდ მოითხოვენ საგარეო პოლიტიკის გადასინჯვას".

საბჭოთა კავშირის 17 ახალი გმირი

მუშურ-გლეხური წითელი არმიის მფრინავებისა და ჯანკისტებისათვის საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდების მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:** საბჭოთა კავშირის თავდაცვითი ძლიერების განსამტკიცებლად მთავრობის სპეციალური და უძნელეს დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამ საქმეში გამოჩენილი გმირობისათვის

მიენიჭოთ **„საბჭოთა კავშირის გმირის"** საბელწოდება **ლენინის ორდენის** ჩაბარებით:

1. პოლკოვნიკს
ბორის ალექსანდრეს-ძე **ტურჯანსკის** — № საავიაციო ბრიგადის მეთაურს.
2. მაიორს
ერნსტ ჰენრიხის-ძე **შახტს** — № საავიაციო ესკადრილიის მეთაურს.
3. კაპიტანს
პოლ მატისის-ძე **არმანს** — სატანკო ათასეულის მეთაურს.
4. კაპიტანს
სერგეი თედორეს-ძე **ტარხოვს** — № საავიაციო ესკადრილიის მეთაურს.
5. უფ. ლეიტენანტს
პავლე ვასილის-ძე **რიჩაგოვს** — № ესკადრილიის საავიაციო რგოლის მეთაურს.
6. უფ. ლეიტენანტს
ვლადიმერ მიხეილის-ძე **ბოჩაროვს** — № ესკადრილიის საავიაციო რაზმის მეთაურს.
7. ლეიტენანტს
სერგეი ალექსანდრეს-ძე **ჩორნიხს** — № ესკადრილიის საავიაციო რგოლის მეთაურს.
8. მფრინავს
ვოლკან სიმონის-ძე **გორანოვს** — № საავიაციო ესკადრილიის მეთაურს.
9. ლეიტენანტს
ნიკოლოზ ივანეს-ძე **შმელკოვს** — საავიაციო რაზმის უმცროს მფრინავს.
10. ლეიტენანტს
კარპ ივანეს-ძე **კოვტუნს** — № ესკადრილიის საავიაციო რგოლის მეთაურს.
11. პრიმო ანჯელოს-ძე **ჯიბელინ** — № რაზმის მფრინავს.
12. ლეიტენანტს
დმიტრი დიმიტრის-ძე **პოგოდინს** — სატანკო ასეულის მეთაურს.
13. ლეიტენანტს
სიმონ კუზმის-ძე **ოსადჩის** — სატანკო ოცეულის მეთაურს.
14. ლეიტენანტს
ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **ნელიცკის** — სატანკო ოცეულის მეთაურს.
15. უმცროს მეთაურს
პავლე ემელიანის-ძე **კუპრიანოვს** — ტანკის მეთაურს.
16. უმცროს მეთაურს
სერგეი მიხეილის-ძე **ბისტროვს** — მექანიკოსს — ტანკის წამყვანს.
17. უმცროს მეთაურს
პეტრე პავლეს-ძე **დესნიცკის** — № საავიაციო ესკადრილიის რაზმის მფრინავს.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. კალინინი

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი—ი. აკულოვი.

მოსკოვი, კრემლი.
1936 წ. 31 დეკემბერი.

ამხ. ი. ი. სერებრიანსკის ლენინის ორდენით დაჯილდოვების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი **ადგენს:** კონტრრევოლუციასთან ბრძოლის საქმეში განსაკუთრებული დამსახურება ბისათვის, ამხ. ი. ი. **სერებრიანსკი დაჯილდოვებული იქნეს ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ი. აკულოვი

მოსკოვი, კრემლი.
1936 წლის 31 დეკემბერი.

ორდენებით დაჯილდოვება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით თვითმფრინავთა კონსტრუირების დარგში შესანიშნავი დამსახურებისათვის ლენინის ორდენით დაჯილდოვეს მენჟინერ-პოლკოვნიკი ამხ. ს. ვ. ილიუშინი.

კინემატოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის რაც გამოიხატა კინოფილმის „ჩვენ კრონშტადტიდან ვართ" შექმნაში, სსრ კავშირის ცაკის დადგენილებით ლენინის ორდენით დაჯილდოვეს ამხ. ვ. ვ. ვიშნევსკი და ე. ლ. ძიგანი.

კინემატოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში დამსახურებისათვის და მთელი რიგი საბჭოთა სიმღერების შექმნისათვის, რომელიც ფართო მასების კუთვნილებად იქცნენ, სსრ კავშირის ცაკის დადგენილებით შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვეს კომპოზიტორი ი. ო. დუნაევსკი და პოეტი ე. ლებედევ-კუმაჩი.

საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ურთიერთობა

შანხაი, 31 დეკემბერი (საქდესი). ჟურნალი „სუპინლინი" ღრმა ქმაყოფილებას გამოსთქვამს სიანის ამბებთან სსრ კავშირის დამოკიდებულების გამო. „საბჭოთა კავშირი, — სწერს ჟურნალი, — მშვიდობიანობას იცავს, ამიტომ იგი ისწრაფის კავშირი იქონიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან. საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება ნანკინის მთავრობასა და ჩან კაი-შისთან უკანასკნელი წლების განმავლობაში ღრმად დარწმუნებული არიან, რომ ამოდას ახალი ესპანეთის ვარსკვლავი".

ლობაში სავსებით ემყარებოდა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკის ზოგად პრინციპთა საფუძვლებს; ამ პოლიტიკას ვერ შეარყევს ვერავითარი მოქმედება რომელიმე პარტიისა ან ცალკეული პირებისა. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ჩინეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა გაიზრდება უაღრესად მტკიცე საფუძვლებზე და ვერავითარი ბოროტი ზრახვები ვერ დაარღვევენ ამ მეგობრობას".

საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ურთიერთობა

შანხაი, 31 დეკემბერი (საქდესი). ჟურნალი „სუპინლინი" ღრმა ქმაყოფილებას გამოსთქვამს სიანის ამბებთან სსრ კავშირის დამოკიდებულების გამო. „საბჭოთა კავშირი, — სწერს ჟურნალი, — მშვიდობიანობას იცავს, ამიტომ იგი ისწრაფის კავშირი იქონიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასთან. საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულება ნანკინის მთავრობასა და ჩან კაი-შისთან უკანასკნელი წლების განმავლობაში ღრმად დარწმუნებული არიან, რომ ამოდას ახალი ესპანეთის ვარსკვლავი".

წალენჯიხის რაიონის გამარჯვება

ს.კ. (ბ) ს. კ-ტის მდივანს ამხ. ლ. ბერიას.

წალენჯიხის რაიონის წარმატებით შესრულდა წლის საწარმოო დავალებანი.

ჩაის გასაშენებლად მომზადებულია 255 ჰექტარდაგი. (წლიური გეგმა შესრულდა 121 პროცენტით), ჩაი დარგულია 220 ჰექტარზე (110 პროცენტად გადაბარულია 138 ჰექტარი (118 პროც.), ფოსფორტანილია 760 ჰექტარზე (103 პ.), ჩაის პლანტაციისათვის დებულია 1400 ტონა ნაკელი. სანერგესათვის ნიადაგის მომზადა და კომპოსტის შეტანის გეგმა შესრულებულია მთლიანად. ჩაილის დამზადების გეგმა შესრულდა 120 პროცენტით, ხოლო ჩანტაციის აღსადგენად ნიადაგმზადების გეგმა— 100 პროც.

ჩაის პლანტის კაპიტალური რემონტი ჩატარდა 200 ჰექტარზე. მიმდინარე რე 323 ჰექტარზე. გაკეთებულია ალი დრენაჟი 150.900 მეტრილ დრენაჟს რემონტი გაუკე 07.000 მეტრზე. გადაბარებულია ამოძირკვლია ქასრა 252 ჰექ.

ტუნგოსათესადაგის მომზადების გეგმა 17 არის რაოდენობით ვადაზე თვით ადრე 100 პროცენტით ლდა.

ჩაისა და ციტრუსებისათვის მოცემული კრედიტი ორი მილიონი 138.000 მანეთისაა.

ჩაის სამუ რაოდენობრივი და ხარისხ მაჩვენებლების მხრივ მოწი რიგებში არიან სოფელ ფახს სტალინის სახელობის (თავმჯდომარე ი. შონია), წალენჯიხის სახელობის (თავმჯდომარერქვა), ლიის ორჯონიკიძის ობის (თავმჯდომარე ძაძამიაის ტელმანის სახ. (თავმჯდომარე წულაია), ჯგალის მოსე კვარაცხელიას სახელობის (თავმჯდომარე კვარაცხელია), ჭალეს კიროვის სახელობის (თავმჯდომარე უბილავა), ნაკიფუს „კომკავშირის ხმა" (თავმჯდომარე ჭანია), ობუჯის უნივერსიტეტის სახელობის (თავმჯდომარე ქებურია) კოლმეურნეობანი.

ჩაის სამუშაოებისა და კერძოდ ფოთლის კრეფის საქმეში თავი ისახელეს მოწინავე სტახანოველებმა: ივანე კანკიამ, სერაფიონ ციმინტიამ, თამარ ძაძამიამ, კოჩანა შესხიამ, ქსენია კალანდიამ, ლიდია მიქავამ, გაიანე მესხიამ.

თამბაქოს ჩაბარების სამი თვის გეგმა შესრულებულია. თამბაქოს დამზადება გრძელდება.

ხორცის ჩაბარების წლიური გეგმა შევასრულეთ ვადაზე ადრე.

მატყლის და ტყავეულის ჩაბარების წლიური გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით. სოიას ჩაბარების, გეგმა —კონტრაქტაციით 540 ცენტნერი. კონტრაქტაციის ზევით 100 ცენტნერი (სულ 640 ცენტნერი)—შესრულებულია 100 პროცენტით.

არტელის წესდებით გათვალისწინებულ ნორმაზე ზევით კოლმეურნეებისაგან საქონლის შესაძენად მოცემული კრედიტები 391.000 მანეთის რაოდენობით ათვისებულია. საკოლმეურნეო ფერმებისათვის შეძენილია მსხვილფეხა საქონელი 655 სული და წვრილფეხა 907 სული. უფროხო კოლმეურნეთათვის დაკონტრაქტებულია 183 წყო (ასი პროცენტი), მუშა-საქონლის რემონტის და დეკეულების დაკონტრაქტების გეგმა შესრულებულია 100 პროცენტით.

საქ. კ.პ. (ბ) წალენჯიხის რაიკომის მდივანი მ. ბარამია.
რაიაღმასკომის თავმჯდომარე ა. გოგუა.

გეგმა შესრულებულია

საქ. კ. პ. (ბ) ს. კ. — ამხ. ლ. ბერიას

თამბაქოს 1936 წლის მოსავლის დამზადების კვარტალური გეგმა 30 დეკემბერს შესრულებულია 121 პროცენტით — 1575 ტონის ნაცვლად დებულია 1910 ტონა თამბაქო. აქედან პირველი ხარისხისა — 6, ნაცვლად კვარტალური გეგმის — 5 ტონისა, მეორე ხარისხისა 1, ნაცვლად 33-ისა, მესამისა — 262, ნაცვლად 237-ისა, მეოთხისა 38, ნაცვლად 1030-ისა და მეხუთე ხარისხისა — 560, ნაცვლად ტონის.

დამზადებულება.

საქ. (ბ) ლოდების რაიკომის მდივანი — **ა. რამიშვილი**
რაიაღის თავმჯდომარე — **ი. ბეჟაშვილი**
საფერავი კრხის დირექტორი — **მ. წერეთელი**

საფრანგეთის კომპარტიის წევრთა რიცხვის ზრდა

პარიზი, 30 დეკემბერი. (საქდესი). მარსელ ცრტოს „ლუმანიტეში" მოჰყავს ცნობები საფრანგეთის კომპარტიის წევრთა რიცხვის ზრდის შესახებ. 1936 წლის იანვრის დამლევს კომპარტიაში ითვლებოდა 81.050 წევრი, მარტის დამლევს — 101.475 წევრი, მაისის დამლევს — 131.149 წევრი. კომპარტია განსაკუთრებით მძიმედ გაიზარდა ივნისში.: ივნისის დამლევს წევრთა რიცხვმა მიაღწია 171.050-ს, ივლისის დამლევს პარტიის წევრთა რაოდენობა გაიზარდა 215.983-მდე. ნოემბრის დამლევისათვის საფრანგეთის კომპარტიის წევრთა რაოდენობა უდრიდა 284.694-ს.

ამავე დროს სწრაფად იზრდებოდა აგრეთვე საფრანგეთის სოციალისტური პარტიის რიცხობრივი შემადგენლობა. სოციალისტური პარტიის წევრთა რიცხვი მიმდინარე წლის იანვრის დამლევს შეადგენდა — 77.881-ს, მარტის დამლევს — 108.242-ს, მაისის დამლევს — 127.851-ს, ივნისის დამლევს — 143.567, ივლისის დამლევს—162.883 და ნოემბრის დამლევს—201.204-ს.

საფრანგეთის სოციალისტური და კომუნისტური პარტიების შემთანხმებელი კომიტეტის სხდომა

პარიზი, 30 დეკემბერი. (საქდესი). შესდგა სოციალისტური და კომუნისტური პარტიების შემთანხმებელი კომიტეტის სხდომა, რომელზედაც გადაწყდა, რომ სხდომები ყოველთვიურად მოაწყონ. შემთანხმებელი კომიტეტი მიღებულ რეზოლუციაში პროტესტს აცხადებს მეწარმეთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებიც შლიან სოციალური კანონმდებლობის გამოყენებას. სხდომაზე აგრეთვე გადაწყდა დღის წესრიგში დაეყენებინა სოციალისტური და კომუნისტური პარტიების ორგანიზაციული ერთიანობის პრობლემის შესწავლა.

მზადება აღწერისათვის

პროფკავშირთა ყველა ორგანიზაციას, პროფკავშირთა ყველა წევრს

1937 წლის 6 იანვარს მოხდება მოსახლეობის სრულიად-საკავშირო აღწერა.

მოსახლეობის აღწერა ზოგად სახელმწიფოებრივი საქმეა.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს ყველა პროფესიულ ორგანიზაციას და პროფკავშირების ყველა წევრს ყოველმხრივ დაეხმარონ აღწერის წარმატებით ჩატარებას, ფართოდ განმარტონ მუშა-მოსამსახურეთ შორის მნიშვნელობა და უზრუნველჰყონ, რომ აღწერილ იქნას უკლებლივ ყველა მუშა-მოსამსახურე და მათი ოჯახის წევრები.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ყველა პროფესიულ ორგანიზაციას ჩაატარონ 1-დან 5 იანვრამდე ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო საერთო კრებები აღწერის ამოცანებისა და ჩატარების ახსნა-განმარტებისათვის.

უზრუნველყოფილ იქნას აღწერის ჩამტარებელ მთვლელთა და კონტროლიორ-ინსტრუქტორთათვის ყოველმხრივი დახმარება მათთვის დაკისრებული ამოცანების შესრულებაში.

პროფკავშირთა სრულიად-საკავშირო ცენტრ. საბჭო.

საკ. ა.ღ.კ.კ.-ს ყველა წევრს, ლენინური კომკავშირის ყველა ორგანიზაციას

1937 წლის 6 იანვარს მოხდება სსრ კავშირის მოსახლეობის აღწერა. საკ. ალკკ-ს ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს ყველა კომკავშირელს, ლენინური კომკავშირის ყველა ორგანიზაციას ფრიად აქტიური მონაწილეობა მიიღონ მოსახლეობის აღწერის, როგორც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმის, წარმატებით ჩატარებაში.

საკ. ალკკ-ს წევრებმა, კომკავშირის ყველა ორგანიზაციამ ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ორგანოებს აღწერის ჩატარებაში და უნდა განუმარტონ მთელ მშრომელ ახალგაზრდობას ამ აღწერის მნიშვნელობა.

საკ. ალკკ-ს ც. კ.

აზერბეიჯანმა შეასრულა გამგის ჩაბარების გეგმა

ბაქო, 31 დეკემბერი (საქდესი). აზერბეიჯანის სსრ რესპუბლიკაში წელიწადი გამგის კონტრაქტაციის გეგმა შესრულდა 30 დეკემბერს. დამზადებულია 193.772 ტონა — 100,05 პროცენტი, 50.062 ტონით მეტი, ვიდრე შარშან. გამგის კრეფა გრძელდება. რესპუბლიკის კოლმეურნეობები იბრძვიან იმისათვის, რომ ჩააბარონ სახელმწიფოს 200 ათასი ტონა.

კანაკირის ჰიდროსადგური

ერევანი, 2 იანვარი (საქდესი). 31 დეკემბერს ღამით ამუშავდა კანაკირის ჰიდროსადგურის მეორე აგრეგატი 10,5 ათასი კილოვატის სიმძლავრით. ორი ამუშავებული აგრეგატის საერთო სიმძლავრე 21 ათას კილოვატს უდრის. დამთავრდა მონტაჟი მე-3 აგრეგატისა, რომელიც უახლოეს დროში ამუშავდება.

გეგმა შესრულებულია

ლანჩხუთის რაიონმა ხორცის დამზადების 1936 წლის გეგმა 15 დეკემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა. 1937 წლის გეგმის ანგარიშში წელს შესასრულებლად აღებული ვალდებულება 25 დეკემბრისათვის შესრულებულია 93 პროცენტით, 1 იანვრისათვის კი მთლიანად იქნება განაღდებული.

საქ. კ.ბ. (ბ) ლანჩხუთის რაიკომის მდივანი ტ. გურგენიძე.
რაიონმასკომის თავმჯდომარე ლ. სოსელია.

საავიაციო ქარხნის № 23 მუშაკების დაჯილდოება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით, 1936 წელს თვითმფრინავთა წარმოების პროგრამის წარმატებით შესრულებისათვის № 23 ქარხნის მუშაკები დაჯილდოებული არიან: წითელი ვარსკვლავის ორდენით 3 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 2 კაცი და „საპატიო ნიშნის“ ორდენით—5 კაცი. (საქდესი).

სამოჭრო ქარხნის № 29 მუშაკების დაჯილდოება

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით მოტორის მ-85 წარმოებაში დანერგვის ხაზით წარმატებით მუშაობისათვის № 29 ქარხნის მუშაკები დაჯილდოებული არიან: ლენინის ორდენით — 1 კაცი, წითელი ვარსკვლავის ორდენით — 3 კაცი, შრომის წითელი დროშის ორდენით — 2 კაცი და „საპატიო ნიშნის“ ორდენით — 2 კაცი. (საქდესი).

ქართული ხელოვნების დეკადა

(მოსკოვი, 2 იანვარი, ტელეფონით ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან).

დღეს, 11 საათზე და 15 წუთზე თბილისის მატარებლით № 48 ჩამოვიდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ძირითადი შემადგენლობა. ჩამოვიდნენ ჭიჭმსიაშვილი, ინაშვილი, ჯავრიშვილი, სოხაძე, კავსაძე და სხვები. სულ ჩამოვიდა 50 კაცი.

მატარებლის ჩამოსვლისათვის კურსკის სადგურის პერონზე შეიკრიბნენ სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის წარმომადგენლები და მოსკოვის თეატრების დელეგაციები. თბილისის თეატრის ძმური შეხვედრისათვის დიდი დელეგაცია გაგზავნა სსრ კავშირის დიდმა აკადემიურმა თეატრმა. დიდი თეატრის დირექტორის ამხ. მუტნიხის და მთავარი სამხატვრო ხელმძღვანელის ამხ. სამოსუდის გარდა, დიდი თეატრის წარმომადგენლები იყვნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ნეჟდანოვა, რესპუბლიკის სახალხო არტისტი სტეპანოვა, ობუხოვა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ბარშევა და დავიდოვა, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი რეიზენი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პოლიტკოვსკი, შეხვედრის მომწყობი კომისია: ბადრიძე, გოცირიძე, ლემეშევი, დირიჟორები შტეინბერგი და მელიქ-ფაშაევი.

მატარებელს შეხვდნენ აგრეთვე დიდი თეატრის გუნდის, ორკესტრის და ბალეტის წარმომადგენლები.

მოსკოვის გორკის სახელობის მხატვრული აკადემიური თეატრი წარმოდგენილი იყო დელეგაციით, რომელშიც შედიოდნენ: სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. მ. მოსკვინი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. მ. ლეონიდოვი, დამსახურებული არტისტი ტოპორკოვი და თეატრის დირექტორი ადატიევი. მცირე თეატრიდან იყო რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვერა პაშენაია.

სადგურზე იყვნენ ამიერკავკასიის წარმომადგენლობის მუშაკები, საბჭოთა სომხეთის კულტურის სახლის წარმომადგენლები, გაზეთების ბევრი კორესპონდენტი.

11 საათსა და 10 წუთზე კურსკის სადგურის რეპროდუქტორმა აუწყა, რომ მატარებელი № 48 ახლოვდება. მემუსიკეებმა მოიმარჯვეს თავიანთი მბრწყინავი ინსტრუმენტები, კინო-ოპერატორებმა მომართეს თავიანთი აპარატები.

მატარებელი უახლოვდება შრონს. უკრავს ორკესტრი, გაისმის ტაში.

ყველა ვაგონთან გაცხოველებული შეხვედრა, ყვავილები, მოდიმარი სახეები, სასიხარულო ხელის ჩამორთმევაა.

პერონზე ფრიალებს წითელი ლენტი წარწერით ქართულ ენაზე: „მხურვალე სალამი ორდენოსანი საქართველოს ხელოვნების მუშაკებს!“

აქვე სადგურის პერონზე მისალმებელი სიტყვით გამოდის სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბოიარსკი. ამხ. ბოიარსკი იმპროვიზებული ტრიბუნიდან — მეზობარგზელეთა ურიკიდან ამბობს შემდეგ სიტყვას:

— მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა სახელით მივესალმები ძვირფას სტუმრებს, ქართული ნაციონალური ხელოვნების დეკადის მონაწილეებს!

ორდენოსანი საქართველოდან ჩამოსული ამხანაგების დღევანდელი შეხვედრა ჩვენთვის განსაკუთრებით სასიხარულოა. ეს პირველი დიდი მოვლენაა ხელოვნების დარგში 1937 წელს. ეს პირველი დიდი მოვლენაა დიადი სტალინური კონსტიტუციის მიღების შემდეგ.

სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა და ძმობა, რომლებიც ხელოვნებაში გამოიხატება, ჩვენი ქვეყნის კულტურული ზრდის საუკეთესო მაჩვენებელია. თქვენ ჩვენი ძმები ხართ, გისურვებთ დიდ წარმატებებს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელოვნებას აყვავებას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს — საბჭოთა ხელოვნების სულისჩამდგმელს“

ორკესტრი უკრავს ინტერნაციონალს. გაისმის მჭუხარე ტაში ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

საპასუხო სიტყვით გამოდის საქართველოს სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნებათა საქმის სამმართველოს უფროსი ამხ. თათარიშვილი:

„ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სახელით მთელი სულითა და გულით გამოვხატო ღრმა მადლობა მხურვალე მიღებისათვის დიდი საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქში.

ქართული ნაციონალური ხელოვნების დეკადა, მოწყობილი სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა კომიტეტის მიერ, წარმოადგენს ისტორიული მნიშვნელობის მოვლენას გაფურჩქვნის გზაზე მტკიცედ დამდგარი ქართული ხელოვნების შემდგომი ზრდისათვის.

ქართული ხელოვნების ნიმუშებს ჩვენება ისეთი პასუხისგებლი აუდიტორიის წინაშე, როგორიც მოსკოვია, ჩვენ დიდ პასუხისმგებლობას გვაკისრებს. ჩვენ ამას ანგარიშს ვუწევთ.

ქართული ნაციონალური ხელოვნება, ქართული კულტურა განვითარდა ლენინურ-სტალინური სწორი ნაციონალური პოლიტიკის შედეგად.

დღევანდელი შეხვედრა ნამდვილად თავისუფალი ქართული ნაციონალური ხელოვნების ზეიმია. ეს მოწმობს იმ უდიდეს სიყვარულსა და მზრუნველობას, რომელსაც საბჭოთა ხელოვნებისადმი იჩენენ პარტია და ხელისუფლება, ბელადი და მასწავლებელი—დიდი სტალინი.

გაუმარჯოს ბრძენ ბელადს ამხანაგ სტალინს!

გაუმარჯოს დიადი საბჭოთა ქვეყნის ხალხთა სტალინურ მეგობრობას!“

○

გულთბილმა და სასიხარულო შეხვედრამ ყველა დამსწრეზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვერა პაშენაია — მცირე თეატრის მსახიობი: „მხურვალედ მივესალმები ძვირფას ამხანაგებს. ბედნიერი ვარ, რომ ვმონაწილეობ ამ შესანიშნავ შეხვედრაში. დარწმუნებული ვარ თბილისის ოპერის წარმატებაში. მე ვიცი, რომ „აბესალომ და ეთერს“ და „დაისს“ მაყურებლები აღფრთოვანებით შეხვდებიან. მხურვალე მიღება მოსკოვში, დღევანდელი შეხვედრა ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა ქალაქის დიად ძმობას, რომელნიც ემსახურებიან ერთსა და იმავე დიად საქმეს — სოციალიზმის საქმეს“.

ვასილი ოსიპის-ძე ტოპორკოვი — რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, მოსკოვის გორკის სახელობის მხატვრული აკადემიური თეატრის მსახიობი:

„თბილისის ოპერის თეატრს ვუსურვებ ისეთსავე წარმატებას მოსკოვში, როგორითაც აღინიშნა აქ რუსთაველის თეატრის ყოფნა. რუსთაველის თეატრზე საუკეთესო მოგონებანი დამრჩა. მღელვარებით მოველი თბილისის ოპერის სპექტაკლებს“.

○

მოედანზე კურსკის სადგურის წინ სტუმრებმა განიცადეს ფოტოაპარატებით შეიარაღებული ფოტოგრაფების და კინოაპარატებით შეიარაღებული კინო-ოპერატორების იერიში. მაგრამ აი მოვიდნენ ავტომანქანები და ლინკორნები და სტუმრები გაემგზავრნენ მათთვის სპეციალურად მიჩენილ სასტუმროებში.

გუნდი, ბალეტი და სცენის ტექნიკური მუშაკები მოსკოვში გუშინ ჩამოვიდნენ. გუშინ მოსკოვში ჩამოვიდა სულ 250 კაცი.

თბილისის ოპერის კოლექტივი მოთავსებულია მოსკოვის პირველხარისხოვან სასტუმროებში: „მოსკოვა“, „მეტროპოლსა“, „ევროპასა“, „გრანდ-ტელსა“ და „ნაციონალში“.

არტისტები აღფრთოვანებული არიან სურვილით ღირსეულად უჩვენონ მოსკოვს თავიანთი ხელოვნება.

უკვე მიღებულია დეკორაციები, რომლებიც ოპერის დიდ თეატრში გადააქვთ. ოპერის თეატრის კოლექტივი დღესვე შეუდგა მათს დალაგებას.

4 იანვარს გაიმართება გენერალური რეპეტიცია, ხოლო 5-ს, როგორც უკვე ვიუწყებოდით, სპექტაკლი „დაისი“.

სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობა 1936 წელს

მოსკოვი, 31 დეკემბერი. სოციალისტური მშენებლობის შესანიშნავი წარმატებანი თავიანთ ჯამოხატულებას პოულობენ კაპიტალისტური ქვეყნებისაგან სსრ კავშირის ტექნიკურ-ეკონომიური დამოუკიდებლობის განმტკიცებაში. ამასთან დაკავშირებით, იცვლება საბჭოთა კავშირის საგარეო ვაჭრობის ხასიათიც.

1936 წელს მრეწველობის პროდუქტების გატანამ სსრ კავშირიდან მთელი ექსპორტის უკვე 84 პროცენტს გადააჭარბა, ხოლო სოფლის მეურნეობის ნედლი პროდუქტების გატანა უდრიდა მხოლოდ 15 პროცენტზე ცოტა მეტს.

რა გაგვაჩნია ახლა ჩვენ საზღვარგარეთ? 1936 წელს ექსპორტის უმთავრეს სტატიებს შეადგენენ: ხე-ტყის მასალა და ხე-ტყის ნაწარმი, ბეწვეული, ნავთი და ნავთის პროდუქტები, სელი, ლითონის მადაები, ქვანახშირი, შავი ლითონი და მისი ნაწარმი საწარმოო მნიშვნელობისა, შაქარი, მინერალური და ქიმიური სასუქი; ამას გარდა გაგვქონდა (ჯიმენტი, აზბესტი, ტყავ-ნედლეული, ცერცვოვანები და სხვ.

1936 სტახანოვურ წელს ახასიათებს სსრ კავშირის ძოსახლეობის საარსებო დონის მძლავრი აღმავლობა, მისი მოთხოვნილების რიცხობრივი ზრდა და, პირველ რიგში, მოთხოვნილების გაძლიერება ვალიხარისხოვან საქონელზე. ბუნებრივია, შეზრდილი მასების მოთხოვნილების ზრდას ჩვენი ქვეყნის შიგნით არ შეეძლო თავისი გამოხატულება არ დაეჩნია ექსპორტზე: 1936 წელს შემცირდა სამომხმარებლო საქონლის — სასურსათო და სამრეწველო საქონლის გატანა. ნაგალითად, ძალიან თვალსაჩინოდ შემცირდა ძროხის კარაქის, კოპტონის, ჩითეულობის ექსპორტი.

ჩვენს სამრეწველო ექსპორტში პირველი ადგილი უჭირავს სატყეო მრეწველობის პროდუქციას — მთელი ექსპორტის 29 პროცენტი. შემდეგ მიდის მძიმე მრეწველობის პროდუქცია—28,5 პროცენტი, მსუბუქი მრეწველობის პროდუქცია — 16 პროცენტი და კვების მრეწველობის პროდუქცია — 11 პროცენტი.

1935 წელთან შედარებით, გასული წლის 10 თვის განმავლობაში (იანვარი-ოქტომბერი) გაიზარდა ბეწვეულის, შავი ლითონის, სასუქის, შაქრის ექსპორტი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ზოგიერთი მანქანის, კერძოდ დაზგების, ექსპორტის გადიდება. შესამჩნევად გაიზარდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ტრაქტორებისა და ავტომობილების ექსპორტი, რომლებიც გაგვქონდა ირანსა, თურქეთსა, დასავლეთ — ჩინეთში, ავღანისტანსა, მონღოლეთსა, ტუვასა, ჰოლანდიასა, დანიასა, ლატვიასა, ესტონეთსა და სხვა ქვეყნებში. საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სანიმუშო ეგზემპლარები წელს გაგზავნილ იქნა ინგლისში. მეტალურგიისა და მანქანათმშენებლობის პროდუქტები ახლა უკვე თვალსაჩინო როლს თამაშობენ ჩვენს ექსპორტში. მიმდინარე წელს ამ პროდუქტების ექსპორტმა მოგვცა 46,3 მილიონი მანეთი, რაც ექსპორტის მთელი თანხის 4 პროცენტზე მეტს უდრის.

იცვლება ჩვენი იმპორტის ხასიათიც. ჩვენი ქვეყანა უკვე არ საჭიროებს ფართო იმპორტს, ვინაიდან მისი ძირითადი საჭიროებანი უზრუნველყოფილია საკუთარი წარმოებით. საბჭოთა მანქანათმშენებლობა ნებლივ აკმაყოფილებს და დამზადებს ყოველგვარი რთული მანქანა, ხოლო მეტალურგიის ზრდა უზრუნველჰყოფს ჩვენი ქვეყნის საჭიროებას საკუთარი ლითონით. მიუხედავად ამისა, სსრ კავშირში საზღვარგარეთიდან შემოგვაქვს მანქანებიდა აპარატები და წელს მათმა შეძენამ იმატა კიდეც. მაგრამ უმთავრესად შემოგვაქვს ტექნიკური სიახლენი და ნიმუშები იმ მიზნით, რომ ავითვისოთ საბჭოთა მანქანათმშენებლობის შემდგომი ტექნიკური რეკონსტრუქცია. თუ წინა წლებში საზღვარგარეთიდან შემოტანილი თითქმის მთელი მოწყობილობა ძირითადად მრეწველობისათვის იყო დაშენული, ახლა იმპორტში მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა უჭირავს მეურნეობის საერთო მოხმარების მცირედსა და 1936 წელს იგი აღემატებოდა საბჭოთა კავშირის მთელი მოხმარების ერთ პრომილეს.

